




1935 წლიდან

კანვენი

კანისა და ვენსნეულებათა
ს/კ ეროვნული ცენტრი

**შპს „კანვენი - კანისა და
ვენსნეულებათა სამეცნიერო-
კვლევითი ეროვნული ცენტრი“**

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ.თბილისი

2024

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "კანვენი - კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ეროვნული ცენტრი"

სარჩევი

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	6
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	7
ზოგადი ინფორმაცია	7
ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი.....	7
სააღრიცხვო პოლიტიკა	8
1. ამონაგების აღიარება	8
2. სავაჭრო მოთხოვნები	8
3. სასესხო ვალდებულებები.....	8
4. სავაჭრო ვალდებულებები	9
5. ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება.....	9
6. ძირითადი საშუალებები	9
7. მარაგები	10
8. იჯარა.....	10
9. აქტივების გაუფასურება.....	11
10. დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები	11
11. ფული და ფულის ეკვივალენტები	11
12. მოგების გადასახადი.....	12
13. სხვა ხარჯები	13
14. მენეჯმენტის სისტემების ISO 9001:2015 საერთაშორისო სერტიფიკატი.....	13
ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	15

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შპს "კანვენი - კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ეროვნული ცენტრი"
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
მიმდინარე აქტივები:			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	168 259	91 132	114 501
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	160 974	177 175	161 823
მარაგები	146 856	135 519	102 672
სხვა მოკლევადიანი აქტივები	9 173	6 032	8 494
სულ მიმდინარე აქტივები:	485 262	387 490	387 490
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	1 702 561	1 589 996	1 518 343
არამატერიალური აქტივები	-	2 167	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	1 509 125	1 509 125	1 509 125
სულ გრძელვადიანი აქტივები:	3 211 686	3 101 288	3 027 468
სულ აქტივები:	3 696 948	3 511 176	3 414 958
მიმდინარე ვალდებულებები:			
სავაჭრო ვალდებულებები	28 648	26 462	35 412
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	-
სხვა ვალდებულებები	3 067	1 871	456
სულ მიმდინარე ვალდებულებები:	31 714	28 331	35 868
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1 067 338	681 521	745 676
სულ ვალდებულებები:	1 099 053	709 854	781 544
საკუთარი კაპიტალი:			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1 714 191	1 917 618	1 749 710
გადაფასების რეზერვი	883 704	883 704	883 704
სულ საკუთარი კაპიტალი:	2 597 895	2 801 322	2 633 414
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3 696 948	3 511 176	3 414 958

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი გალდავა
გენერალური დირექტორი

2024 წლის 16 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

მედიკო შარიქაძე
ბუღალტერი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

შპს "კანვენი - კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ეროვნული ცენტრი"
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	4 392 622	3 770 516
გაყიდვების თვითღირებულება	(559 169)	(437 045)
საერთო მოგება	3 833 453	3 389 234
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	(2 548 813)	(2 224 650)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(151 119)	(274 677)
საპროცენტო ხარჯი	(88 640)	(75 093)
იჯარის ხარჯი	(3 600)	(3 600)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(503 535)	(435 515)
სულ საოპერაციო ხარჯები	(3 295 706)	(2 986 535)
საოპერაციო მოგება	537 747	346 937
მოგება (ზარალი) კურსთაშორისი სხვაობიდან	(331 271)	14 048
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	23 534	24 261
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	230 010	385 245

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი გალდავა
გენერალური დირექტორი

2024 წლის 16 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

მედიკო შარიტაძე
ბუღალტერი

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

შპს "კანვენი - კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ეროვნული ცენტრი"
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათასობით ქართულ ლარში)

	რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	სულ
01.01.2023 ნაშთი	883,704	1,749,710	2,633,414
საანგარიშგებო პერიოდის მოგება (ზარალი)		385,245	
რეზერვების ზრდა (შემირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე			
მ.შ დივიდენდის გატანა		(217,337)	
კაპიტალის სხვა ცვლილება			
31.12.2023 ნაშთი	883,704	1,917,618	2,801,322
საანგარიშგებო პერიოდის მოგება (ზარალი)		230 010	
რეზერვების ზრდა (შემირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე			
მ.შ დივიდენდის გატანა		(433,436)	
კაპიტალის სხვა ცვლილება			
31.12.2024 ნაშთი	883,704	1,714,192	2,597,896

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი გალდავა
გენერალური დირექტორი

2024 წლის 16 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მედიკო შარიქაძე
ბუღალტერი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

შპს "კანვენი - კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ეროვნული ცენტრი"
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ფულადი სახსრების მოძრაობა	31.12.2024	31.12.2023
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	837,071	367,968
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(285,487)	(327,183)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(474,457)	(64,154)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(77,127)	(23,369)
სავალუტო კურსის ეფექტი	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	91,131	114,501
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	168,259	91,131

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი გალდავა
გენერალური დირექტორი

2024 წლის 16 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

მედიკო შარიქაძე
ბუღალტერი

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(კარტულ ლარში)

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

შპს "კანვენი - კანისა და ვენსნეულეზათა სამეცნიერო-კვლევითი ეროვნული ცენტრი (შემდგომში „კანვენი“), საიდენტიფიკაციო კოდი: 204566638, რეგისტრირებულია 2009 წლის 27 მარტს და მდებარეობს საქართველოში. იგი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კანვენის იურიდიული მისამართია: ქ.თბილისი, კ. ჩაჩავას #1.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კანვენის 100%-იანი წილის მფლობელია მოქმედი დირექტორი გიორგი გალდავა, საქართველოს მოქალაქე.

კანვენის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების გაწევა. კანვენში ფუნქციონირებს შემდეგი განყოფილებები: ვენეროლოგია, დერმატოლოგია, კოსმეტოლოგია, ასევე ფუნქციონირებს ექსტეპორალური მედიკამენტების აფთიაქი. კანვენში დასაქმებულია საშუალოდ ასი ადამიანი

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად. მსს ფასს სტანდარტზე გადასვლამდე, ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, კანვენს არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება. სააღრიცხვო პოლიტიკა ემყარებოდა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობას.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადანაცვებების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კლინიკის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კლინიკის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი გალდავა
გენერალური დირექტორი

მედიკო შარიტაძე
ბუღალტერი

2024 წლის 16 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

სააღრიცხვო პოლიტიკა

1. ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიენიჭება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

2. სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

3. სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი გალდავა
გენერალური დირექტორი

მედიკო შარიპაძე
ბუღალტერი

2024 წლის 16 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

4. სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

5. ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

კანფი წინა საანგარიშო პერიოდებში იყენებდა ცვეთის დარიცხვის კლებადი ნაშთის მეთოდს. ახალი სტანდარტის ამოქმედების შემდეგ ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვის მეთოდი არ შეცვლილა რადგან მსს ფასს 17.22 იძლევა აღნიშნული მოდელის გამოყენების შესაძლებლობას. ძირითადი საშუალებები ანგარიშგებაში აისახა ისტორიული ღირებულებით, ცვეთის გამოკლებით. კლინიკის საკუთრებაში არსებულ მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხევა. პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარებულია ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯში. ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი საშუალებების ცვეთის ნორმები:

შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	15%-20%
ოფისის აღჭურვილობა	15%-20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი გალდავა
გენერალური დირექტორი

მედიკო შარიპაძე
ბუღალტერი

2024 წლის 16 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გავლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

ძირითადი საშუალებების ნაშთები და ბრუნვები ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ძირითადი საშუალებები	31.12.2023	შეძენა	შემცირება	31.12.2024
შენობები	960,202			960,202
სატრანსპორტო საშუალებები	18,371		11,640	6,731
ოფისის აღჭურვილობა	131,475	53,320	40,258	144,538
მანქანა-დანადგარები	479,948	232,167	121,025	591,090
სულ ძირითადი საშუალებები:	1,589,996	285,487	172,922	1,702,561

7. მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგაბრუნებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

8. იჯარა

ხელშეკრულების სახელით:

გიორგი გალდავა
გენერალური დირექტორი

მედიკო შარიტაძე
ბუღალტერი

2024 წლის 16 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ბარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

9. აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეედარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების გარეშე დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ბარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ბარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიღრმემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ბარალის აღიარება. გაუფასურების ბარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ბარალში.

10. დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრტელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრტელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრტელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრტელოების არაღისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არაღისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს კლინიკის საბანკო ანგარიშებზე და სალაროში არსებულ თანხებს. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულად სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი გალდავა
გენერალური დირექტორი

2024 წლის 16 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

მედიკო შარიპაძე
ბუღალტერი

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის, 31 დეკემბერს არსებული კურსით:

უცხოური ვალუტა	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
აშშ დოლარი	2.8068	2,6894	2,7020
ევრო	2.9306	2,9753	2.8844

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

ფულადი სახსრები ანგარიშგებაშ წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	31.12.2024	31.12.2023
ნაღდი ფული საღაროში	500	500
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	111,250	46,437
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	56,574	44,194
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	168,325	91,131

12. მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

საანგარიშო პერიოდში მოგების გადასახადით დასაბეგრი ოპერაციები არ მომხდარა.

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი გალდავა
გენერალური დირექტორი

2024 წლის 16 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

მედიკო შარივაძე
ბუღალტერი

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

13. სხვა ხარჯები

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებში წარმოდგენილია შემდეგნაირად

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	თანხა (ლარი)
კომუნალური ხარჯი	133 525
მივლინების ხარჯი	104 353
რეკლამის ხარჯი	19 454
მომსახურების ხარჯი	87 760
საკანცელარიო ხარჯი	17 682
სამეურნეო ხარჯი	56 112
საწვავის ხარჯი	959
სხვა საერთო ხარჯი	83 691
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	503 535

14. მენეჯმენტის სისტემების ISO 9001:2015 საერთაშორისო სერტიფიკატი

შპს "კანვენი-კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ეროვნულმა ცენტრმა" 17.07.2024 -დან 16.07.2027-მდე ვადით AACI-სგან (ამერიკის აკრედიტაციის კომისია) ორი საერთაშორისო სტანდარტის სერტიფიკატი მოიპოვა.

- საერთაშორისო აკრედიტაციის სტანდარტი, ჯანდაცვის ორგანიზაციებისთვის V 6.0 რადგან კანვენი სრულად შეესაბამება AACI-ის პაციენტის უსაფრთხოების აკრედიტაციის საერთაშორისო სტანდარტებს.
- მართვის სისტემის სერტიფიკატი ISO 9001:2015 - ჰოსპიტალური მომსახურებისთვის სისხლძარღვთა ქირურგიაში, პლასტიკური და რეკონსტრუქციული ქირურგიის მეორად დონეზე, ასევე ამბულატორიული მომსახურებისთვის დერმატოლოგიის, ვენეროლოგიის, უროლოგიის, ანდროლოგიის, ანგიოლოგიის, შინაგანი მედიცინის, კარდიოლოგიის სფეროებისთვის და შესაბამისი ლაბორატორიისთვის.



ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი გალდავა
გენერალური დირექტორი

მედიკო შარიპაძე
ბუღალტერი

2024 წლის 16 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)



ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი გალდავა
გენერალური დირექტორი

2024 წლის 16 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მედიკო შარიკაძე
ბუღალტერი

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)



LTD Kanveni - S/R National Centre of Dermatology and Venereology

Closed NC Major - Minor Open

Complete

Organisation:

LTD Kanveni - S/R National Centre of Dermatology and Venereology

Document No. (Client ID, Audit Type, Lead Surveyor)

C288 PA1 TN

Report status:

Closed NC Major - Minor Open

Audit type:

Periodic audit 1

Audit method:

On-site

Location:

K. Chachava 1, Tbilisi, 0159, Georgia

Lead auditor:

Tatiana Nakashidze

Audit Team:

Alexander Gerasimov

Lasha Gugukidze

Audit start date:

15 May 2025 06:00 AM CEST

Audit end date:

15 May 2025 3:00 PM CEST

Report prepared by:

Tatiana Nakashidze

Date:

20 May 2025

LTD Kanveni - S/R National Centre of Dermatology and Venereology

CLOSED NC Minor Open

Complete

Healthcare Organization:

LTD Kanveni - S/R National Centre of Dermatology and Venereology

Report Status:

CLOSED NC Minor Open

Document No. (Client ID, Survey Type, Lead Surveyor)

C288 PA1 TN

Location:

K. Chachava 1, Tbilisi, 0159, Georgia

Standard:

AACI International Accreditation Standard V6.0

Survey Type:

Periodic 1

Survey method:

On-site

Type of healthcare organisation:

Hospital

Survey Start date:

15 May 2025 06:00 AM CEST

Survey End date:

15 May 2025 3:00 PM CEST

Lead Surveyor:

Tatiana Nakashidze

Survey Team:

Alexander Gerasimov

Lasha Gugukidze, MD

Report Date:

19 May 2025

Prepared by:

Lasha Gugukidze, MD

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

საანგარიშგებო თარიღის შემდეგ სხვა მნიშვნელოვან მოვლენას, რაც მოითხოვდა კორექტირებას ან განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში, აღვილი არ ჰქონია.

2024 წლის 16 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული ფინანსური ინფორმაცია ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 15 სექტემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი გალდავა
გენერალური დირექტორი

2024 წლის 16 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

მედიკო შარიჟაძე
ბუღალტერი